ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №10

ქ. ლანჩხუთი 13. 10. 2020 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველების" თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეების" თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოაქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ხათუნა ვადაჭკორია.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი მაგული კუნჭულია, მედიის წარმომადგენელი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი მაგული კუნჭულია/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის სექტემბრის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

4. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 27 ოქტომბერი, 11:00 საათი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა. მან განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიმდინარე წლის 7 სექტემბრის წერილში დასმული საკითხის განხილვის შედეგად მიზანშეწოლილია კულტურის ღონისძიებების პროგარმის (ორგ.კოდი 05 02 02) 3060 ლარის და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 05 03) 2405 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს განათლების ხელშეწყობის პროგრამა (ორგ.კოდი 04 03) 5465 ლარით.

ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო საამღზრდელო ცენტრის წინადადების განხილვის საფუძველზე (სამზარეულოში ბუნებრივი აირის მოხმარების აკრძალვის გამო) სამზარეულოში (ქვიანი, ჩოლობარგი, შუხუთი, ქალაქი, მაჩხვარეთი, ლესა და წყალწმინდა) ელექტროქურების დამონტაჟების მიზნით გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში საქონელი და მომსახურების მუხლის 35000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 35000 ლარით.

საკრებულოს ბიუროს სხდომას შემოემატა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე.**

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1)„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის

თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2) დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3) პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 13 ოქტომბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსმა **მაგული კუნჭულიამ.** მან აღნიშნა, რომ MSDA–(Municipal Servise Development Agency) მიერ მუნიციპალიტეტებში მიმდინარე პროექტის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია ჩართულია დოკუმენტბრუნვის ახალი პროგრამის დანერგვის პროექტში, რომელიც მნიშვნელოვანია განხორციელებული პროექტის და მერიის სრულფასოვანი მუშაობისა და ფუნქციონირებისთვის. პროგრამის მეშვეობით მერია უფლებამოსილია ერთიანი საქმისწარმოების პროგრამაში სწორი და უტყუარი მონაცემების აღრიცხვის და თავისი ფუნქციების შესრულების, მათ შორის: სოციალური დახმარების, ჯანმრთელობის დაცვის, სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის, სატრანსპორტო პოლიტიკის განხორციელების, ადამიანური რესურსების მართვის და სხვა მიზნით. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიიღოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან პერსონალური მონაცემები. შესაბამისად მერიის დებულებაში უნდა აისახოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რეგულაცია.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2) დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3) პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 13 ოქტომბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი მაგული კუნჭულია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის სექტემბრის თვის შესრულების ანგარიში წარმოადგინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2020 წლის სექტემბრის თვეში შემოსულობებმა15 620 362,14 ლარი შეადგინა, რაც გეგმის 71,4%-ს შეადგენს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 6 905 206,91 ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 62,0 %; მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი, დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 164 700 ლარი, რაც წლიური გეგმის 74,9%-ია. საანალიზო პერიოდში შემოსავლებმა (კაპიტალურის ჩათვლით) 8 715 155,232 ლარი შეადგინა, რაც წლიურ საპროგნოზო მაჩვენებლის 81,2 %-ს შეადგენს, ქონების გადასახდის შემოსავლები წლიურ გეგმასთან მიმართებაში შესრულებულია 54,4%-ით და შეადგინა 707 296,58 ლარი; საწარმოთა ქონების გადასახადი- 2 991 447,6 ლარი და წლიურ შესრულებასთან შეადგინა 74,8%, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი 61852,55 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 12,7% შეადგინა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი- 49 901,56 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 11,3% შეადგინა; სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში შემოსულია 3 159 633,44 ლარი, გეგმის 107,9%. მათ შორის მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის შემოსულია 62 625,31 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 41,8% შეადგინა; იჯარით გაცემული ქონებიდან შემოსავალი 18 149,61 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 181,5% შეადგინა; ადმინისტრაციული მოსაკრებლის შემოსავალი 10 059,56 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 41,6% შეადგინა; ჯარიმები, სანქციები და საურავებით მიღებულია 2 935 857,802 ლარი-წლიური პროგნოზის 110,8 %, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები -128 341,41 ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან (რეალიზაცია) მიღებულია11 508,45 ლარი. განვლილ საფინანსო პერიოდში ხარჯის სახით გაწეული იქნა 14671936 ლარი. სექტემბრის თვეში შტატით დასაქმებულ მუშაკებზე გაიცა 3 611 618 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიცა 1 292 743 ლარი, საქონელი

და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 342 490 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 6 939 289 ლარი.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის სექტემბრის თვის შესრულების ანგარიში.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ** განაცხადა, რომ მოახლოვებულია ზამთრის სეზონი, რომელსაც მუნიციპალიტეტი მომზადებული უნდა დახვდეს. ჩასატარებელია მოსამზადებელი სამუშაოები. ის ასევე დაინტერესდა თუ რა თანხა იქნება გამოყოფილი სტიქიით დაზარალებულთათვის.

მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გადაეგზავნა 2 900 000 ლარის ზარალის შესახებ ინფორმაცია. ამჟამად 1 500 000 ლარია ჩამორიცხული, ამ დღეებში გამოცხადდება ტენდერები და დანარჩენი თანხაც ეტაპობრივად იქნება მობილიზებული.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** განაცხადა, რომ სოფელ ჩიბათის მოსახლეობა (კერძოდ ჯაჭახუნას უბანში) ითხოვს წყლის სათავე ნაგებობის მოწყობას. საჭიროა მუნიციპალიტეტის საპროექტო სამსახური ჩაერთოს, შეადგინოს შესაბამის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა.

მუნიციპალიტეტის მერმა განაცხადა, რომ აუცილებლად ჩაერთვება შესაბამისი სამსახური და ეცდებიან პრობლემის აღმოფხვრას.

დეპუტატმა ლელა ჩახვაძემ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისევ მოიმატა მაწანწალა ძაღლებმა. დაკბინა მარტოხელა მოხუცი, რომელსაც დახმარება ჭირდება.

მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ ეს ქალბატონი მოინახულა სოციალური სამსახურის წარმომადგენელმა და დეპუტატმა. მას ასევე მიაწვდიან მედიკამენტებს.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო